02.11.2017.

მოგესალმებით, საკმაოდ მნიშვნელოვან თემაზე ვმუშაობთ და სამწუხაროდ ვერ მოვახერხე, რომ სხდომას დავსწრებოდი. განაცხადის შესახებ ჩემთვის ცნობილია და გეტყვით, რომ ვიდეო, რომელიც ჩვენ გავავრცელეთ, ვნახეთ ფეისბუქზე, სადაც გაზიარებული იყო ჩვენს მიერ მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფეისბუქ ჯგუფში სხვა ჯგუფიდან, თუ არ ვცდები მისი სახელწოდებაა „რუსთავი“ ან „რუსთაველები“ (ქართული შრიფტით) სადაც ეწერა შემდეგი ტექსტი - „დაახლოებით ღამის 03:00 საათზე მეგობრობის გამზირზე მდგარ მონუმენტის ჯებირს ჰონდას მარკის ავტომობილი დაეჯახა, ავტოავარიას 30 წლამდე მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა“. თემაზე მუშაობისას ჩვენ დავუკავშირდით შსს-ს, ვიყავით კლინიკაში და ჩავწერეთ ექიმი. გავამზადეთ ვიდეო, დავწერეთ ტექსტი და განვათავსეთ საიტზე.

ჩვენი მთავარი საინფორმაციო გვერდი არის www.inforustavi.ge საიტზე ინფორმაციის სრულყოფილად განთავსების მიზნით, ვიყენებთ იუთუბ არხს (რადგან ჩვენი ვიდეო სერვერი არ გვაქვს). ჩვენ ჩამოვწერეთ ფეისბუქის ჯგუფში ატვირთული ვიდეო, ის იყო საკმაოდ ვრცელი დავამონტაჟეთ, მას მივაბით ექიმის სინქრონი და ავტვირთეთ. შემდეგ ეს ატვირთული ვიდეო ლინკის სახით მივაბით ტექსტს. იუთუბ არხი ჩვენი დამხმარე საშუალებაა, რათა ინფორმაცია სრულყოფილი გავხადოთ, ჩვენ დამოუკიდებლად მხოლოდ იუთუბის ლინკს არსად ვდებთ, რადგან მას არც ტექსტი ერთვის და არც სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც თემის სრულყოფას სჭირდება. იუთუბზე ყველა ვიდეოზე წერია - „მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ–გვერდს : http://inforustavi.ge

რაც შეეხება ვიდეოს, რომელიც ჩვენ ჩამოვწერეთ სოციალური ქსელიდან, მას არ ჰქონდა ლოგო, ის ნიშნებიც კი რაც ჰქონდა ჩვენ არ მოგვიჭრია, ანუ კადრი არ დაგვიმუშავებია. სულ გამოვიყენეთ 36 წამი, მივაბით ექიმის სინქრონი და ავტვირთეთ. იქიდან გამომდინარე, რომ მე პირადად 17 წელი ვმუშაობდი ქვემო ქართლის ტელევიზიაში, მქოდა ინფორმაცია, რომ კომპანიას ჰქონდა გარე კამერები. ამიტომ ვიფიქრე, რომ კოლეგიალურია და ამავდროულად საავტორო უფლებაც დაცული იქნებოდა, თუ მივუთითებდი ვისი მასალა გავრცელდა. სწორედ ამიტომ მივუთითეთ რომ ავტოსაგზაო შემთხვევის კადრებს ავცელებს ქვემო ქართლის ტელეკომპანია, ასევე მივუთითეთ ტელეკომპანიის საიტის ლინკიც.

გიორგი ჩომახაშვილი